საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	14	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	76	100

სახელი, გვარი:

თარიღი : 19. 07. 2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციას და 2024 წლის 17 ივლისს კანდიდატ თამარ ალფაიძესთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმით</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის არ იკვეთება შეუსაბამობა. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია ასახულია ქონებრივი

მდგომარეობის დეკლარაციაში.

კანდიდატი თამარ ალფაიძე რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 – 2024 წლებში თამარ ალფაიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის 22 ფაქტი (დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად).

გამოკითხული რესპოდენტებიდან ერთ-ერთის აზრით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მეორე გამოკითხული რესპოდენტი მიუთითებს, რომ კანდიდატი ზოგიერთ შემთხვევაში აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. რეკომენდატორები დადებითად ახასიათებენ კანდიდატს, კერძოდ აღნიშნავენ, რომ იგი არის სამართლიანი, პრინციპული და კეთილსინდისიერი ადამიანი. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ადამიანები იცვლებიან, მისთვის უცნობია კანდიდატი მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნისას როგორ გაუმკლავდება ჰიპოთეტურ, ეთიკურ დილემებს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, ჰქონდა ძლიერი ემოციური ფონი, მისი ქცევა არ შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.
არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად არ აქვს შეგნებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გამოკითხული რესპოდენტები და ორი რეკომენდატორი დადებითად აფასებენ კანდიდატს, კერძოდ, მიუთითებენ, რომ იგი არის დამოუკიდებელი, პრინციპული, ლიდერული თვისებების, კრიტიკული და თავისუფალი აზროვნების მქონე პიროვნება. ამასთან, ერთი რეკომენდატორი უშვებს მიკერძოებულობის შესაძლებლობას.

თამარ ალფაიძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. 2019 წლის არჩევნებში კადიდატი თამარ ალფაიძე იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური,

ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები, კერძოდ აღნიშნავენ, რომ პირად ურთიერთობებში თავაზიანია, პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ ქცევას. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვინაიდან კანდიდატთან არ აქვს სისტემატური შეხება, მისთვის უცნობია კონკრეტულ როლში როგორ შეინარჩუნებს სამართალწარმოების და ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რა გავლენა ექნება სასამართლო სისტემის ერთიანობის შენარჩუნებაზე.

ამასთან, გამოკითხული რესპოდენტებიდან ერთი მიუთითებს, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების აღნიშნულ მახასიათებელს, ხოლო მეორე რესპოდენტს უჭირს შეფასება.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თამარ ალფაიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი თამარ ალფაიძე ცნობილი იქნა დაზარალებულად, ამასთან, ორ სამოქალაქო საქმეში მონაწილეობდა მხარედ.

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ძალიან ემოციური ადამიანია.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა არ შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

გამოკითხული ორი რეკომენდატორის და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

ერთი რეკომენდატორის განმარტებით, კანდიდატს თამარ ალფაიძეს პირად ურთიერთობებში გარკვეულწილად შეუძლია მორალური პრინციპების დაცვა, თუმცა ვერ შეძლო ნდობის მოპოვება, რადგან პიროვნული თვისებების გამოვლენაში არ არის თანმიმდევრული და საიმედო. ამასთან, რეკომენდატორი ფიქრობს, რომ კანდიდატმა ნაკლები იმუშავა რეპუტაციის შესანარჩუნებლად ან მისი სურვილი და შესაძლებლობა დროში არ დაემთხვა ერთმანეთს.

პრესაში გავრცელებულია სხვადასხვა ინფორმაცია თამარ ალფაიძის შესახებ, მათ შორის მის მიერ საარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებული განცხადებები, ასევე მისი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, უზენაესი

სასამართლოს მოსამართლის კანდიდატობის შესახებ.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმით</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზსა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას</u> - აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თამარ ალფაიძემ ვერ შეძლო წარმოეჩინა საკუთარი ცოდნა, ვერ გაართვა თავი საჯარო მოსმენის ეტაპზე დასმულ სამართლებრივი შეკითხვების უმეტესობას, კერძოდ, პასუხი გასცა მხოლოდ ერთ შეკითხვას, ისიც არასრულყოფილად, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს სიმბოლოებს. ვერ გააკეთა სრულყოფილი განმარტება ნორმატიულ და ინდივიდუალურ აქტს შორის არსებულ განსხვავებაზე დასმულ შეკითხვაზე, ასევე, ზედაპირული პასუხი გასცა შეკითხვას, ნორმატიული აქტის განმარტებაზე. კანდიდატმა ვერ ისაუბრა სარჩელის ფორმებზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე ვერ უპასუხა დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას. არ გასცა პასუხი კონვენციასა და დეკლარაციას შორის არსებულ განსხვავებაზე დასმულ შეკითხვას. ამასთან, უნდა აღინიშნოს,რომ მას უჭირს საკუთარი ემოციების მართვა.

მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტი დასაბუთებული, სამართლებრივად გამართულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ იგი არ ეცნობა არც ეროვნულ სასამართლო და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u>

თამარ ალფაიძემ საჯარო მოსმენის ეტაპზე ვერ შეძლო ძირითად საკითხზე კონცენტრირება, უჭირდა ემოციების მართვა, ვერ ახდენდა კონცენტრირებას დასმულ სამართლებრივ საკითხებზე. თუმცა, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი

დოკუმენტი თანმიმდევრულია, ჩანს მსჯელობა და განხილული მასალის საფუძველზე კანდიდატის ლოგიკური აზროვნების უნარი.

საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა თითქმის ვერცერთ კონკრეტულ სამართლებრივ სფეროში დასმულ შეკითხვებზე ვერ გასცა ზუსტი და არგუმენტირებული პასუხები.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - მახასიათებლის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.

მივიჩნევ, რომ იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს, თუმცა როგორც თვითონ განმარტა, მიღებული სტრესის გამო გაუჭირდა აზრების თავმოყრა. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.

ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას არის საკმაოდ ემოციური. არ გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად არათანმიმდევრულად, გასაუბრებისას თვალსაჩინო იყო მღელვარების ნიშნებიც.

4. პროფესიული თვისებები - მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის შესახებ არსებულ ინფორმაციას პრესასა და მედია საშუალებებში, მასთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.

გამოკითხული რეკომენდატორები თამარ ალფაიძეს ახასიათებენ როგორც კომპეტენტურ და კვალიფიციურ იურისტს, რომელსაც შეუძლია სამართლებრივი სტრატეგიების მკაფიო ახსნა და საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტირების უნარი. რაც შეეხება რესპოდენტებს, ერთ მათგანს კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნული მახასიათებლით უჭირს კანდიდატის შეფასება, ხოლო მეორე რესპოდენტი აფასებს მინიმალურად.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია.

კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების და გამოკითხული რესპოდენტების ინფორმაციის საფუძველზე მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძე შეუსაბამოა მოსამართლის თანამდებობისათვის.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.

თამარ ალფაიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სამუშაო შეხვედრასა და სემინარში. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სხვადახვა უნივერსიტეტში. ფლობს ესპანურ, რუსულ და ინგლისურ ენებს. არის სამართლის დოქტორი. ამასთანავე, არის რამოდენიმე სტატიისა და ნაშრომის ავტორი.

6. პროფესიული აქტივობა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურებას. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას.

თამარ ალფაიძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სხვადასხვა უნივერსიტეტში, პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 70 ქულას.

თარიღი : 29.07.2026

ხელმოწერა: